585
1973/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

28

№ 1 (384)

1973 წლის იანვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (384) იანვარი 1973 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

1. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ

განყოფილება მეორე

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. აზიროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ე. ლომთაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. გ. მალაზონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

12196

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1 მშრომელთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად ამაღლდა რესპუბლიკის მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, რის შედეგად ხელმძღვანელ ორგანოებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მომსვლელთა რაოდენობა. იმატა მშრომელთა წერილების რიცხვმა, რომლებშიც დაყენებულია სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები.

მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისა და მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, „რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში მშრომელთა მიღების გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1972 წლის 7 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი, გარდა დადგენილი დღეებისა, მშრომელებს მიიღებენ — ორშაბათობით, 15-დან 20 საათამდე.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მშრომელთა მიღების ჩატარება პრეზიდიუმის წევრთა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მონაწილეობით.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა თავიანთ საარჩევნო ოლქებში დააწესონ მიღების დღეები და საათები ამომრჩეველთათვის მოსახერხებელ ადგილას და არასამუშაო საათებში.

4. მშრომელთა მიღება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღებში მოეწყოს ყოველდღიურად 9 საათიდან 20 საათამდე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს გააუმჯობესონ მუშაობა მშრომელთა მიღების ორგანიზაციისათვის, რისთვისაც:

ა) შეუქმნან სათანადო პირობები მშრომელთა დეპუტატების უმაღლესი, საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატებს ამომრჩეველთა მიღებისათვის საარჩევნო ოლქების მიხედვით, — ამ დანიშნულებისათვის გამოყონ შესაფერისი შენობები, ამასთან დეპუტატები უზრუნველყონ იურიდიული, საცნობარო და საინფორმაციო მასალით;

ბ) სისტემატურად გააანალიზონ ამომრჩეველთა მიღების დროს წამოჭრილი საკითხები, განიხილონ ისინი აღმასკომების სხდომებზე და განახორციელონ ქმედითი ზომები საჩივრების გამომწვევი მიზეზებისა და პირობების სალიკვიდაციოდ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მიზანშეუწონლად ჩაითვალოს მიღების საათებში სხდომებისა და
რების და სხვა ღონისძიებათა ჩატარება და არ დაუშვან მოქალაქეთა მიღების
ჩაშლა.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველმა:

შექმნას ყველა პირობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მშრომელთა მიღების ორგანიზაციისათვის;

პერიოდულად შეამოწმოს მოქალაქეთა მიღების მდგომარეობა, გააანალიზოს მიღების დროს წამოჭრილი საკითხები და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 12 იანვარი.

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 ამხ. ა. ი. აზიროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. არტემ ივანეს ძე **აზიროვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 8 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

3 ამხ. ს. ე. ლომთაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1918 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ამხ. სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიონ ექვთიმეს ძე ლომთაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 31 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

4 **ამხ. ნ. გ. მალაზონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით პოეტი ნესტორ გლახუნის ძე **მალაზონია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 25 იანვარი.